

სიანთი


მარტი
1936

№6
ფასი 50კ.



თს. ლგაშვილის შაბრიკის თანაფორმული „მატენი“ სილვა“

ვასი ვასი რა უფილა ეს ლუარსაბ თათქარძეი მაგ რომ ჩვენს დრო ში უფილიუო, ვერც ეროი დახტი ვერ გაუძლებდა



შეიარაღების შემცირებისა და შერჩევის მიზნით მოწვეული საზღვაო კონფერენცია ყოველთვის უშედეგოდ მთავრდება და კონფერენციის შემდეგ შეიარაღება კიდევ უფრო ძლიერდება.



საზღვაო კონფერენციის შედეგად აღუგებებინათ ისეთი ცურვა ასფალზე, რომ ომის დროს დახლოვდნენ ნავსადგომს და დაეცა.

ფ რ თ ა მ რ ვ ე ხ ი ღ ი

ნიკო გივიშვილმა ერთხელ კიდევ გადააწვლია თვალი ახალგაზრდა მგოსნის ნოდარ შუჭუბაძის ლექსების კრებულს და ალტაცებით შემოსძახა:

— შედეგია! პირდაპირ შედეგია. ამისთანა ლექსები ჯერ არ სმენია კაზმულ სიტყვიერების სამყაროს. რად არ იღირს თუნდაც ეს სტრიქონები:

„დაგა—დაგა,
დუგუ—დუგუ!
დაგა—დუგუ!
დაგ!
წკურუ—წკარა
რაწკა—რუწკუ!
წკარა—წკურუ!
გაგ!“

— არ მისმის! ბგერების უშინაარსო კომპლექსია და მეტი არაფერი. უაზრო ხმების მაგგვარი ფორმალისტური დაჯგუფების შექმნამ შეიძლება მოქალაქე პირველყოფილი ადამიანის აბოლოგიაზე მიიყვანოს!—შენიშნა მისმა ნაცრობმა მიტო მახვილელმა.

— რაო?! არ გესმის? როგორ არ გესმის! შედეგია, ნამდვილი შედეგია!

— მე მაინც არ მესმის მაგ „შედეგის“ შინაარსი.

— აგისნი, თუ ვერ გაიგე: თუმცა საკმარისია კარგად დააკვირდე, რომ ყველაფერი გაიგო! აქ მთელი შინაარსია შესაფერი ბგერებით ვადმოცემული. დააკვირდი ლექსის დასაწყისს:

დაგა—დაგა!
დუგუ—დუგუ!

ეს სტრიქონები თვალწინ გვიყენებენ კიბეებზე მიმავალ ადამიანს. თვითელი გამოყოფილი ბგერა ცალკე ნაბიჯის ხმაურს გვინახტავს, რაც ხის საფეხურზე ნაბიჯის დადგმისაგან გამოიკვება... მეოთხე სტრიქონი „დაგ“ გამოხატავს, რომ ლექსის გმირმა აიარა ყველა საფეხურები და დაკვირვით კარგბთან შესდგა. შემდეგი ბგერები ხარის რაწკუნს გამოხატავს!..

— შენ საიდან იცი, რომ მაგას გამოხატავს?

— თვითონ განმიმარტა ავტორმა. დიდებულა! ამის ფასი ჯერ არაფერი დაწერილა „განმარტა“ ფორმალისტმა გივიშვილმა.

მიტომ ირონიულად გაიღიმა და წასასვლელად მოემზადა.


— თუ გინდა შენც ცნობილი გახდე, შექმნი ფორმის ასეთი შედეგები!—ურჩია გაათხოვებისას გივიშვილმა.

— არასოდეს! მაგგვარ ფორმალისტურ აბდაუბდას მე შეგნებულად არასოდეს არ გამოვიყენებ და არც შევეუროვებ.

**

თავის კაბინეტში დარჩენილი მწერალ-კრიტიკოსი ნიკო გივიშვილი საჯაროდ ზაჯდა და ის ის იყო უნდა დაეწყო სტატიის წერა შუჭუბაძის ხოტბის შესასხმელად, რომ უცებ ტელეფონის წკარუნი გაისმა.

— აა, შენა ხარ ნოდარ? რა ამბავია? სწორედ ახლა შევუდამი რეცენზიის წერას. ხვალ დილით გადავცემ რედაქციას... აა? (იხ. მე-3 გვ.)



ლონდონში მოწვეული საზღვაო კონფერენცია ჩვეულებრივად ჩაიშალა.

ამერიკის საზღვაო მინისტრს სნოუსენს ფეხი დაუსხლტა სააბაზანო ოთახში და გვერდის წკნელი მოიუბა.

(გაზეთებიდან)

მე სნოუსონის ამ კატასტროფას ვუძღვნი შაირის ბატარა სტროფას.

ისე იბრუნა ცხოვრებამ კენი, რომ მრავალ მინისტრ უსხლტება ფეხი —

და ხურმასავით დაბლა სცვივან (იყო ვუდრო და არის ვივიან).

სნოუსონის ფეხს ხსვა ჰქონდა გეზი და მის წაქცევას ხსვა აქვს მიზეზი.

მოუნდა ალბათ აბაზანაში ბანაობის დროს ვალის თამაში

და ამ გართობას საკუთარ ხელით შესწირა გვერდის უმანკო წკნელი.

სჩანს თამაშს ისე ის შეეჩვია, რომ ფეხის გასმა ყველას ერჩია...

ო, ასე იცის მინისტრო ძია, ხშირმა საზღვაო კონფერენციამ...

მედუზა.



მარსი — კიდევ ერთი ნაბიჯი და ქვეყანას მზის ნაცვლად ჩამი მახვილი გააპანთებს.

(„ფრთხილი“ — გაგრძელება).

რაო?... აა?... ვერ გავიგე? „პრავდაში“?!... რა იყო პრავდაში? რას ამბობ? ვერ დევიჯერებ. დებეუბია? შენ თვითონ წაიკითხე? რას ამბობ, დავიღუპეთ და ეგაა. ტყავს აძრობენ ფორმალისტებს? ალბად ჩვენც ვერ ავცდებით ამ უბედურობას.. აა? რაო? დავსცხობთ ფორმალისტებს?... სწორია!.. ჩინებულია!..ახლა ჩვენ უნდა დავამზადოთ სიტყვები ფორმალისტების წინააღმდეგ... ნახვანის...

გივიშვილი ტელეფონს მოშორდა და ისევ მავიდას მიუჯდა. თავზე ორივე ხელი შეშლიდა და ცოტა ხნით ფიქრებს მიეცა. ხელში კალმისტარი აიღო და თეთრ ქაღალდზე შავი ასოებით „ამოქარვა“ ახალი სტატიის სათაურად დაწერა. „მთლიანი ფრონტით მიტოვებული მახვილიშვილის ფორმალისტური პოპტიკის წინააღმდეგ“

დასწერა და ხელი გაუქავედა. — რაღაც არ უნდა დამეხდეს მის შემოქმედებაში ფორმალისტური მიმართულება უნდა აღმოვაჩინო. — წარმოსთქვა მან და ისევ ფიქრს მიეცა... გივიშვილის შუბლიდან თეთრი ქაღალდის რამდენიმე წვეთი დაეცა, ეს იყო გივიშვილის სიმწერის ოლონა.

რომელი



სათია?

ასეთი სათაურით რუსს სატირიკოს მწერალს მ. ილინს აქვს ნოთხრობა, რომლის წაკითხვამ ჩვენ მოგვავიანა ტფილისის საბჭოს დაპირება ქალაქში ქუჩის საათების რიცხვის გადიდების შესახებ. ვისარგებლეთ რა ამ წიგნითა და შემთხვევით, გვინდა „სათის პრობლემა“ ისევ დავაყენოთ დღის წესრიგში.

ტფილისელმა მოქალაქემ ქალაქის საათების შეუთანხმებელი მუშაობის გამო არ იცის:

— რომელი საათია?
უცქერის იგი ქუჩებში საათებს, ეჭვი ეპარება მათ კეთილსინდისიერ მუშაობაში და კითხულობს:

— რომელი საათია?
— ვერა ხედავ, რომელი საათია?— უცვირს მეორეს მისი აზრებული კითხვა.

— ვხედავ, მაგრამ არ მჯერა, ვერ ვენდობი!— მაინც ურწმუნოდ ობობს იგი.

მეტანოქშირი საათი, რომელიც ამჟამად ხმარებაშია, გამოგონებულია მე-11 საუკუნეში, და გამოგონებულია არა ინჟინერ-ტექნიკოსის, არამედ იტალიელი მწყემსის მიერ.

რასაკვირველია, ძველ დროშიაც არსებობდა საათი და არსებობდა მრავალნაირი საათი. მაგრამ, რა თქმა უნდა, არა მეტანოქური. დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი:

წყლის საათი

სამომავარისებურ ქუჩებში, რომელსაც სამოვარსავით მქონდა ონკანი, ჩაასხამდნენ წყალს. ონკანს ოდნავ მოუშვებდნენ და წყალი ონკანიდან წვეთობით იღვრებოდა. ამ ქუჩების დაკლით საზოგადოებრივ დროს. ამ საათს ძველ საბერძნეთში „კლემსიდრა“ ერქვა. იტყოდნენ ხოლმე: „ილაპარაკა ნახევარი კლიმსიდრის განმავლობაში“.

ახლაც, როცა დიდი ხნის მეგობრები ერთმანეთს შეხვდებიან, ერთმანეთს მიამახებენ:— რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთი აღარ გვინახავს“.

და ეს „რამდენმა წყალმა“ სწორედ იმ დროიდან მოიძის, როცა წყლის საათი იყო ხმარებაში.

ჩრდილის საათი

არისტოტელს, რომელიც ცხოვრობდა 23-24 საუკუნის წინა დროს თავის გმირ ქალს ასე ალაპარაკებს: „როცა ჩრდილი იჭნება ათ ნაბიჯზე, მოდი და იფანშე“— ეუბნება ცოლი ქმარს. (თანამედროვე ცოლი კი ასე ეტყვის ქმარს: „როცა ათი საათი გახდეს, მოდი და იფანშე“).

როგორც ჩანს ეს „ჩრდილი“ იყო მაშინდელი საათი, ხოლო „ნაბიჯი“ ასრულებდა საათის ისრის მაგნიტობას. ჩრდილის საათი კი ასეთი იყო:

მოედნებზე აღმართული იყო ძალიან მაღალი ბოძი. შუადღისას ჩრდილი უმოკლესია. მზის გადახრასთან ერთად ჩრდილის სიგრძე მატულობს და საღამოს ძალიან გრძელია. აი, ამ ბოძის ჩრდილს ზომავდნენ ნაბიჯით და გეგულობდნენ, რა დრო იყო, ე. ი. რომელი საათი იყო.

კითხვითი საათი

ძველად მონასტრებში დროის გაგება ასე ხდებოდა: მორიგე ბერი საღამოს ლოცვის შემდეგ, როცა ბერები დაიძინებდნენ, დაიწყებდა ეპისტოლეების კითხვას. სხვები არხეინად ხვრინავდნენ, ის კი ოფლში იწურებოდა კითხვისაგან. დილით ბერები ადრე უნდა გაეღვიძებია მორიგეს. დრო გამოვლიდნენ კი მაშინ იყო, როცა მორიგე მიაღწევდა კოლასელთა მიმართ პავლე მოციქულის ეპისტოლის მე-3 თავის მე-18 მუხლის სიტყვებს: „ცოლნო, დაე-მორიღენით თვისთა ქმართა“. იტყოდა თუ არა ამ სიტყვებს, მორიგე დაიწყებდა ზარის რეკას და აღვიძებდა ბერებს.

რა თქმა უნდა მორიგეს ხშირად ჩამოეძინებოდა და მაშინ მას აღვიძებდნენ გამოვლიდნელი ბერები. ზოგიერთმა ჩქარი კითხვა იცოდა, განსაზღვრულ ადგილს მალე წაიკითხავდა და ადრე აღვიძებდა ბერებს. ამაზე ბრახობდნენ ბერები და ხშირად კიდევ სკემდნენ მორიგეს. სამაგიეროდ ზოგმა ცუდი კითხვა იცოდა და მზას ამოსვლამდეც ვერ ასწრებდა ნორმის წაკითხვას. რა თქმა უნდა ბერებს ეს უხაროდათ და ასეთ მორიგეს ყოველთვის ასაჩუქრებდნენ.

მამლის საათი

რომში იტყოდნენ ხოლმე: „ჯარისკაცს საყვირი აღვიძებს, მოქალაქეს კი—მამალი“.

მამლის საათი დღემდეც არის ხმარებაში. მასთვის, იაკობ გოგუბაშვილის „დედა-ენაში“ (მეორე ნაწილი) ასეთი ამბავია მოთხრობილი: დედაბერს ჰყავდა გოგოები, რომლებსაც რთვას ასწავლიდა. გამოყრუებულ დედაბერს უძილობა სჭირდა და მამლი მეორე ყვილზე გოგოებს აღვიძებდა. ბერი იფიქრეს გოგოებზე, რომ მამალი როგორმე მოეშორებინათ, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ერთ მეგობარ ბიჭს უთხრეს თავისი გაჭირვება. იმ ღამიდან დაწყებული დედაბერს უღიროო დროს ესმოდა მამლის ყვილი. წაიძინებდა თუ არა, მაშინვე მოესმოდა მამლის ყვილი. ადგებოდა, გოგონებსაც გააღვიძებდა და შეუღებოდა მუშაობას. მაგრამ გათენებდას საშველი არ დაადგებოდა, ხშირად დედაბერს ისევ ჩაეძინებოდა და გვიან იღვიძებდა.

სოფელში, როცა მამალი წარამარა დაიწყებს ყვილს, უბედურების მომსწავებლად თვლიან. ამიტომაც დედაბერმა მამალს თავი წააგდებინა, რომ თავიდან აეცილებია მოსალოდნელი ხიფათი, ჩაჩობდა და გოგოებს გაუმსაპინძლდა. გოგოების სიხარულს საზღვარი არა მქონდა—მტერიც მოიშორეს და თანაც პირი ჩაიგემრიელეს.

თურმე მამალი არაფერ შუაში იყო. თურმე გოგოების მეგობარი ბიჭი ღამით მიდიოდა საქათმესთან და ყვიოდა მამლის მაგიერ. დედაბერს კი თავისი მამალი ეგონა.

ერთი სიტყვით მამალი წინადაც და ზოგან ახლაც პირნათლად ასრულებს საათის მაგნიტობას.

ფილისის საათები

მაბრამ არასოდეს საათს ისეთი დიდი მზ. შენელობა არ ჰქონია, როგორც დღეს. სახელმწიფოს ურთულესი აპარატის მუშაობა საათის წამ-წუთებზეა მოწყობილი. ყველაფერი ზუსტად არის განაწილებული.

ქარხნისა თუ სხვა რომელიმე წარმოებისა და ადამიანის მუშაობის დასახსიათებლად ხშირად იტყვიან ხოლმე:

— საათივით მუშაობს... საათივით აქვს აწყობილი მუშაობა. მაგრამ საათიც არის და საათაც.

თუ მუშაობა შედარებულია, მაგ. „გერმანელების ეკლესიის“ (პლენხაოვის პრ. და ჟორესის ქ. კუთხე), ანდა ყოფილი კავშირგაბმულობის (რუსთაველის პროსპექტის ბოლო და ლენინის ქუჩის დასაწყისი), ანდა ჯორჯიაშვილის ქუჩაზე შტაბის საათებთან,— მაშინ მუშაობა ცუდად არის დახასიათებული.

ხშირად ასედაც არის ხოლმე: ტრამვაის პარკის ორმაგი საათი ერთ მხარეზე ერთ დროს აჩვენებს, მეორე მხარეზე—მეორეს. ასეთი უთანხმოება რომ არის რყუბებს მოზოს, ამის შემდეგ არც გასაკვირია ტფილისის სხვა საათების ერთმანეთთან უთანხმოება. ზოგიერთი მათგანი აჩქარებული ტემპით მუშაობს და დღედაღამის გავლას უნდებდა არა 24 საათი, არამედ ნაკლები 23 საათი, ზოგიერთი კი ჩამორჩენილ წარმოებასავით აღნიშნული დროის გავლას უნდებდა 24 საათზე მეტი, 25 საათი. ამგვარად ტფილისის საათები გეგვენდნენ. ზოგი მოსკოვის დროს, ზოგი—არქტიკის, ზოგი—ამერიკის, ზოგი—აფრიკისა და ავსტრალიისა და სხვა.

— რომელი საათია?— ვკითხვებით ქალაქის საბჭოს.



ჩვენ განგებ არ ვასახელებთ, თუ კერძოდ ვის ენება ეს სურათი. საკომედიურნო, სასოფლო და საბჭოთა კედლის გაზეთის რედაქციებო, ამოხვერით და გამოიყენეთ საჭირო შემთხვევაში შესაფერო წარწერით თქვენი გაზეთისათვის.

ისრები

მოსოღება

იტალიაში სასურსათო კრიზისთან დაკავშირებით თვითოვლ ლელფინის (ზღვის ღორის) მოკვლაზე პრემია გამოცხადდა.

(„ზარბ“).

ზღვაში მცურავო ღორებო. სმენა!—ვიხმოზენ ყველასა: რომს ვასაჭირი დაუდგა, თქვენგან მოელის შევლასა!

ვერ წაუვა

ლონდონში პასუხისგებაში მისცეს ჯარისკაცი, რომელმაც უარი განაცხადა ოფიცრის ბრძანების შესრულებაზე. რითაც უღვაშის მოპარსვას ავალებდენ.

(გაზეთებიდან)

„დემოკრატულ“ კანონს კაცი ვერ წაუვა ვერსად. ან „ჩაფდება“ ან უღვაშებს გააჯოლებს წვერსა.

უგბარი წამალი

გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრებს აეკ-

რძალათ გაბამებული პერანგების ტარება.

ხამს ბრძენსა, მახვილს გონებით ზღვასაც უნახოს ფონია, რა მისჭირდება. არ დარჩენ უმწუო, დანადონია.

და ფაშისტების ბელადნიც ბრწყინვალე აზრთა მქონია, ქვეყანას კრიზისს ააცდენს „კრანმალის“ ეკონომია!

სმენა! სმენა! სმენა!

რამლეში (ჩ. ამერიკა) მახრობელა გაზის საშუალებით სიკვდილით დასაჯეს მატრიმარი. დასჯას ოცდახუთი მაყურებელი დასწრო.

უთვალთვალებს ჯალათს მნახველთ მწკრივი ორფა და „ამშვენებს“ დარბაზს ეს ღოზუნგი ქორფა:

„ჯალათებო. სმენა! მახრობელა გაზით „მუშანიზმის“ გზაზე შედგრად წინწინ გასწით!“

მურმანის არია

(ხრამვისის საფუაროთა მწარმოებელ მურმანიშვილს)

— მურმან, მურმან შენსა მზესა, რა ყოფაში გყავს მურმანი?

— ჩემს ბარაკებს ქარი უჭრის, დანჯარებს არ აქვს შიგ შუშები.

არა თბება, არ ნათლდება, მალლა არ აქვს სალი ჭერი. იატაკსა ნულარ მკითხავთ, მუხლამდეა ჭოჭყი, მტვერი!

— მურმან, მურმან შენსა მზესა, არ მოგიცდის მაგრე მუშა.

— ეს მეც, ძმაო კარგად გიცო, გეგმა კიდევ ჩამეთუშა.

— მურმან, უნდა გამოფხიზლდი და მოაწყო ბარაკები, გეყოს ეგ ზომ გულგრილობა, გაათავე არაკები.

მურმანი ხელსა მოკლა ურდა, შექმნა კარგი პირობისა.

ისინია გამომჩენი და შემჩნევი გმირობისა.

მურმან. მურმან შენსა მზესა, შეიღობე საჭმეს დღესა.

(ტფილისი)




— წავიდეთ, მამილო, ხომ უყურებ, წვიმა დაიწყო. ტრამვაი აღარ იმუშავებს.

სტუმარ-მასპინძელი

განსაკომის ბიბლიოთეკა მოთავსებულია ბნელ და ნესტიან სარდაფში, სადაც აუარებელი სოკოები ბუდობენ.

ნახ. კანდელაკის.



სოკო: — ვინ მოგვით უფლება ჩვენ გვეკუთნის დაიკარგეთ აქედან! შემოსულხართ? ეს ბინა

მომხსენებელმა ქოჩორა თმებზე ხელი გადაიხედა, ტრიაუნაზე აუარება წიგნები დაალაგა, სქელი რვეული გადახალა, დარბაზს გადახედა, დინჯად ჩაახველა და დაიწყო. — ამხანაგებო!... ღიახ, ამხანაგებო! მე მახსენებ... მამილო, რა გინდა, რომელიც რომ... რომელსაც ჩვენ განვიცდით დღეს, ესე იგი რომ მე მოხსენება უნდა გავაკეთო თქვენ წინ. — ამხანაგებო! მე არ დაიწყებ შორიდან. თქვენ ყველანი გწვრთნილი ხართ ლიტერატურაში და კარგად გესმით ლიტერატურის საკითხები. ამიტომ პირდაპირ დავეწყებ. პირველი წიგნი საქართველოში დაბეჭდა მეთორმეტე საუკუნეში. ხმა ადგილიდან: თუ მეჩვიდმეტეში? მომხსენებელი: როგორ? ო, იმას მოგახსენებდით—მეჩვიდმეტე საუკუნეში დაიწერა პირველი წიგნი. ხმა ადგილიდან: ამბობენ მეთვრამეტე საუკუნეში გამოვიდაო. მომხსენებელი: მეც მოგახსენებ მეთვრამეტეში. ერთი სიტყვით რევოლუციამდე საქართველოში გამოვიდა წიგნები. ხმა ადგილიდან: არსებითად მოხსენების საგანზე ილაპარაკეთ. მომხსენებელი: არსებითად მოგახსენებთ! ჩვენი კრიტიკა რალაც არეულია. აი, მაგალითად, ლექსი... ამბობენ არ არის (ჟღერო) ლექსი...

მიყვარს ქვეყანა ნათელი ამიტომ ველი მზესაო ბნელეთი გადმოვიარეთ კავშირებიდან ღოესაო...

ეს ქვეყანა ასეთია— ხან ღელავს და ხან ჩერდება— სიყვარული გულს მიტოვებს გამარჯვება მელანდება.

ეს ნამდვილი დიალექტური ლექსია. დააკვირდით—„ხან ღელავს და ხან ჩერდება“... პოლიტიკურად გამართულია—„მიყვარს ქვეყანა ნათელია“.

ხმა ადგილიდან: როდის დაიწერა ლექსი? მომხსენებელი: ლექსი? მე არ ვამტკიცებ კარგიაო... შეიძლება ცუდიც არის... მოდი კიდევ წავიკითხოთ.

მომხსენებელმა ხელმეორედ წაიკითხა ლექსი, დაფიქრა. ადგილიდან ვილაყამ რეპლიკა მისცა: — ახლა ელის მზეს? ამან სულ არია მომხსენებელი. — მართალია, ამხანაგებო! აქ რალაც გაუგებრობაა... მართლა და რატომ ელის პოეტი მზეს... სოციალისტური მზე ჩვენში კარგა ხანია ამოვიდა.

ხმა ადგილიდან: როდის დაიწერა ლექსი? მომხსენებელმა დახედა წიგნს:—35 წელში გამოსულა. ხმა ადგილიდან: ლექსი 15 წელში დაიწერა. მომხსენებელი: ო, ლექსი დაუწერია 1915 წელში. მაშინ არა უშავს „ველი მზესაო“...

ხმა ადგილიდან: კაცო, სთქვი კრიტიკოსი რას სწერს... მომხსენებელი: მართალია... კრიტიკოსი ამბობს არ ვარგათ. ხმა ადგილიდან: ახლა გასაგებია. მომხსენებელი: მართალია, არ ვარგა, მაგრამ ლექსი არც ძველ ცუდია...

მომხსენებელმა ოფლიანი შუბლი მოიწმინდა, დარბაზს ამაყად გადახედა და ასე დაასრულა მოხსენება: — ამრიგად ძირითადი საკითხები ამოწურულია. დაწვრილებით აღარ შეგჩერდები, ალბათ თქვენ გამოხვალთ აქ კამათში და იტყვიო.

თავმჯდომარე: მოვისმინეთ ჩვენი პოეტის ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება. შეკითხვები არ არის? გადავდივართ კამათზე. მოკამათენი „ავსებდნენ“ მოხსენების ხარვეზებს. მომხსენებელი ი სავარძელში იჯდა და სიტროს შეექცეოდა.

ბ. ინგელი.

ლილინი

ზოგიერთ რაიონებში ვერ კიდევ დაუმთავრებელი სასტუმროები დაიკავეს მუდმივ საცხოვრებელ ბინებად.

ნაზ. ა. კანდელაკის

საქართველოს
საბჭოთა კავშირი



ლილაზე ღერო ვიყავით,
სათამოს ვერცხლად ვიქცევი,
ღერხ აღარ ვიცვლით აქიდან,
მდგმურებად გადავიქცევი!

არაჩვეულებრივი სიხარულით შეხვდნენ სოთ 'ვედა-საქარაში (ჯუღელის რაიონი) ალიოშა მერკვილაშვილის ჩასვლას. სოფელში ხმები დაირხა:

- დაუმთავრებია და ჩამოსულა!
- არა, ახლა მოსკოვში აგზავნიან თურმე გასაგრძობლად.
- ბეჩა, რაღა გაგრძელება უნდა იმ სიგრძე გაძახს?

თა ალიოშას სიხარულსაც საზღვარი ალარ ჰქონდა. მეზობლები ჰპატივებდნენ. ვახშამს უმართავდნენ და ალიოშაც „ტრუბკით“ ხელში ოჯახიდან ოჯახში დადიოდა: მისი შიშხილდარი ქალიშვილები „ეპოს“ და „აპას“ ქახილით მარჯვინა ხელის ნიბს მკერდზე იდებდნენ და ალიოშას ბედს შეჰნატროდნენ. ერთ ოჯახში. ერთი შაჰკით ავადმყოფი მოხუციც კი აჩვენის ალიოშას: მან ავადმყოფს თავზე „ტრუბკა“ დაადო, გასინჯა და რჩევა-დარიგება მისცა:

— საამისო წამალს აქ ვერ იშოვნის, ტფილისში ამისათვის წსავლა კი არ ღირს, გაუძლიო. თაისით გაივლისო!

ალიოშამ სულ ერთი კვირის განმავლობაში შოიხეკა სახლი სოფელში. ყველანი მასზე ლაპარაკობდნენ და შენიამაც გულში ჩაიგდო ახალგაზრდა ექიმის სიყვარული. საქმე იქამდისაც მივიდა, რომ ერთ საღამოს მინდორშიაც კი გაისიარნის ალიოშამ და შენიამ.

ახალდაღამებული იყო. მთვარე ანათებდა.

- შენია, მთვარე გიყვარს?
- კი, მიყვარს.
- მზე? მზე თუ გიყვარს?
- მზეც მიყვარს.
- მი? მი თუ გიყვარვარ შენია?
- შენ? რატომ უნდა მიყვარდე? ძმა არ ხარ და ბიძაშვილი!

— მოდი თავი დავანებოთ... შენია, გამოშეყ (ყოლად!

— როდის? ახლა?— წამოიძახა შეშინებული შენიამ.

— არა, ხალ, ან ზეგ!...

შეთანხმდნენ ახალგაზრდები და სახლში დაბრუნებისას მათგან ასეთი სიტყვები ისმოდა:

- ჩემი შენია!
- ჩემი ექიმი!
- ჩემი მშვენიერი!
- ჩემი ტრუბკიანი!...


ნიშნობამ ჩვეულებრივად ჩაიარა და ალიოშა ტფილისში გამოემგზავრა. გამოუტყდა შენიას, რომ ჯერ მხოლოდ მესამე კურსზე იყო და სულ მალე საკუთარ სახლის ქიშკარზე ასეთ წარწერას გამოჰკიდებდა:

ექიმი ალექსანდრე ემილიანისძე მერკვილიშვილი მიღება: როდესაც გენებოთ...

გამოუტყდა „ტრუბკა“ წამოიღო და ტფილისისკენ გამოემგზავრა ინსტიტუტის დასამთავრებლად.

სოფელში ყველას უხაროდა ალიოშას „იკვად ჩკვია“. ნამეტნავად კი შენია იყო აღფრთოვანებული და დღემდამ ქმარზე და მის „ტრუბკაზე“ ოცნებობდა.

ერთმა თვემ გაიარა ასე. ზედსიძედ შესოლ ალიოშას სატრფოს ოჯახში ერთ დღეს წერილი მოვიდა ნახევრად დამთავრებულ ექიმ ალიოშასაკენ. იწერებოდა, რომ ფული იყო საჭირო; ზამთარი მოახლოვდა და ალიოშას კი პალატა არ ჰქონდა. სულ რაღაც სამასი მანეთი იყო საჭირო და თუ შენია ამ ფულს გაუფუგზავნიდა, ალიოშა ჰპირდებოდა, რომ



დიდუხრა „მოქალაქე“, რომელიც არ კადრულობს მოძრაობის წესების დამორჩილებას. მის „პორტრეტს“ აქ მითომ ვხატავ, რომ ამ „შატივცემულ ცხოველს, არა ერთი მიმზადველი ყავს.

სულ მოკლე ხანში ექიმი იქნებოდა და საყვარელ სატრფოს ისე მოუვლიდა, პონჩიკივით გაასუქებდა.

ჩაფიქრდა შენიამ, იფიქრა, იფიქრა. წამოიშლია: „ვის შევიფულო რუსთაველი მკვდარიო“, ოჯახიდან ნივთები გაიტანა, გაჰყიდა და მომავალ ექიმს სამასი მანეთი გამოუგზავნა.

დახარჯა ალიოშამ ეს ფული. კიდევ უნდოდა შენიასათვის მიეწერა: ერთი სამასი მანეთი გამოემგზავნო, მაგრამ შერცხვა, დაფიქრდა და გამოსავალი იპოვნა: დას გაუგზავნა წერილი საკუთარ ოჯახში:

იყავით კარგად და ჯანმრთელად, მე მოვეწყე ინსტიტუტში. ამაზე თქვენც მიიღებდით ალბათ წერილს... ოთახში მე და ნიკოლოზი ვართ ერთად, რომელიც ნიკოლოზს უქირავებია გოგოლევის ქუჩაზე, ზაზიკა კარგი აყვანს ძალიან გვიფიქს, მაგრამ ფული ჰიარება საქმეს... ზაზიკასი მმართველს ხელი თუმანი და თუ ამ ორ დღეში არ მივეცი გამომაგდებს გარეთ... მე არ შევარცხვენ მაჩივმის სახელს ისე ღმერთმა წუ მომკლას, რომ ჩვენ ჰიკარზე ახრა არ იყოს ჩემი ექიმობის შესახებ. ამ ოთხი წლის იქით.

იანვრიდან მეორე კურსზე გადავეყვართ კარგი მეცადინეობისათვის. კურსის პროგრამა დასრულებული შექც. შურა ეს წერილი წამალა წაუციოხე დედაჩემს; შენიას არაფერი უთხრა რომ მე მეორე კურსზე ვარ, იმას უთხარი რომ მისამეზეთქო. მოკითხვა უთხარი დედაჩემს და ბრეშებს. ამა თქვენ იცით რავე ჰკითხიქნებით ფული მომაწვდინებ რაც შეიძლება მალე. ოთახისათვის დედას, რომ ლაპარაკი მე ამას წინათ ოთახის ყიდვის

შესახებ, აღმოჩენილი შექც ოთახი და სანამდი გეიყიდებოდეს, გაყიდეთ რამე, რაც შეიძლება მალე გამოემგზავნეთ ფული. ოთახს ოთხი ათასი მანეთი ფული უნდა. მეცადინეობაში არ დამაბრკოლოთ, მშვილობით.

წერთ შენი უსაყვარლესი კარგი ძმა ალიოშა“.


ალიოშას დედამ და დებმა გაიტანეს და გაჰყიდეს ოჯახში რაც რამე ებადათ და ალიოშას გაუფუგზავნეს.

სახლიდან გამოგზავნილი ფული ალიოშამ კამათელში წააგო და ტრუბკაც ზედ მიაციოლა.

— თუ დედაჩემს, ჩემს დებს ან შენიას რამე შეუტყვია, ამის წერა გახდებოდა. დაემუქრა ალიოშა ნაცნობებს და ნახევარი მეტრის სიგრძე დანა ამოიღო.

დაჰპირდნენ ნაცნობები, რომ თხოვნას შეუსრულებდნენ და ალიოშას „ექიმობის“ ამ ავი დღემდღეს საიდუმლოდ ინახება. მშობლებს კი ყოველ კვირას წერილს უგზავნიან, ფულის გამოგზავნას თხოულობს და დებულობს კიდევაც...

ამ წერილის ავტორიც ალიოშას ნაცნობია. ახალგაზრდა „ექიმისგან“ დაიღლება არ მიუღი, რომ საიდუმლო შეუწახოს, მაგრამ სხვა ნაცნობების რაპირებას პირნათლად ასრულებს: ალიოშა დედას, დას და შენიას არაფერს ატყობინებს. ტფილისის მილიციას კი სათხოვის: გაგზავნოს თაისი წარმომავლენელი საზანოვის ჩოჩია № 13-ში (ტფილისში) „ექიმი“ ალიოშა მერკვილიშვილი ავად არის და განკურნებისპირდება... გ—ა.



აუთათუკაგისათვის

გაქაფვა — ქუთსოფმრეწვის ტკბილი წყლების გამყიდველების პროფესიას ეწოდება. ამ სიტყვას ხმარობენ ძაშინაც, როცა ვინმეზე ასობენ: ამ და ამ კაცმა ამდენი მანეთი გაქაფაო. თვით „გაქაფვა“ „ქაფი“ — საგან არის ნაწარმოები. ქუთსოფმრეწვის ტკბილი წყლების საჯარო გამყიდველები როცა მომხმარებელს წყალს უსხავენ, ჭიჩაში წყალი ქაფს იყენებს და გეგონებთ ჭიჩა საესეაო. სინამდვილეში კი წყალი ჭიჩაში ნახევრადმისაა. ქაფი, კი რომელიც წყალს აქვს მოყინებულა, წყლის ფასად იყიდება. (ჩაბია, ქაფის საფასურს გამყიდველები იჯიბავენ. ყველა ასეთ პროცესს მოკლედ ქუთაისში წყლების გამყიდველებმა „გაქაფვა“ უწოდეს. გაქაფვა მართო ქუთათური მოვლენა არ არის. და ხშირად წყლის გარდა, სხვა არათხევადი საქონელიც „იჩაბია“ ქათისტების მიერ.

ცხვარი — უდანამაულო და წყნარი, მაგრამ თუგაცხარდა. — (ცხარი პირუტყვია. სარგებლიანობის მიზნით ცხვარს კრეჭავენ და ატყავენ. ქუთაისის ზოგიერთ საბარკმახე-როში აღამიანებს მეორენაირად ცხვრებს უწოდებენ. თუ რა კაცშია აქვს ამ სახელწოდებას პარაკმახეობის კლიენტებთან, ამას მკითხველები უკომენტარიოთაც გაითვალისწინებენ.

„ძიძგი, ძიძგი“ — როცა მოჩიტული ვარიები ერთმანებთს ეკინკლავებინან, ეჩხუბებიან, მაყურებელი წააქეზებს: — „ძიძგი, ძიძგი მაჩალაო... შენ იცი და მაგანაო“... საულოისხმოა. რომ ჭოთაისის პოლინტიტოტში ფიზკულტურის მასწავლებელმა არონიშიძემ „ძიძგი, ძიძგი მაჩალო!“ სტუდენტთა თამაშობად გადააქცია და ფიზკულტურის გაკვეთილის დროს არონიშიძე სტუდენტებს სულ „ძიძგი, ძიძგი“ ათამაშებს.

კუზო — მიცვალეულის სადგომი სახლია. ამ სიტყვას კაცშია აქვს კლობთან. ამას ქუთაისის მაგალითი ამტკიცებს: ქუთაისის საჭადრაკო კლუბი — საჭადრაკო კუზოა, რომელშიაც ასეენია მოთამაშეებთან კატასტროფისას დამტკიცებელ - დასახიჩრებული ჭადრაკის ფიგურები. **ცინცხალი.**

ფოთის. ს.ს.ტოშაძე



— ამ ჩვენ დავითს ყოჩაღად უნადირია, ხუთი იხვი მოუკლავს...
— ნავთლულში ექვსი იყადა, ერთი დაუკარგავს...

მ მ მ კ ვ ი ღ რ ე



აუცილებელი მორთულობა. ურომლისოდაც ცივ ამინდში გრიბსა და ხველას ვერ აცილებით.

პალმის ქვეშ ხალხი ზის ჰაჯი ბაგირ, შორს ზღვას გამყურებს ნისლი რომ ფარაბს. წვირზე ხელს ისევანს, ეწევა ნარგილს და შვილიშვილებს მოუთხრობს არაკს: ძვილ დროში ერთი მეფე ყოფილა ამ მეფეს თურმე ჰყოლია ვირი. ვირი სასახლის კარზე შობილა, რომილსაც ზრდიდა ერთი ვეზირი. ვირის სიტყურფე სირდარბაისლე კარისკაცებს და ვეზირთ ხიბლავდა. უყვარდა თურმე მეფესაც ისე, რომ მისი ფასი არავინ ჰყავდა. ბერდიბა მეფე არჩევს მემკვიდრეს, რადგან მას შვილი არ გააჩნია, დიდ ფიჭრის შემდეგ რეგვირ ვეზირებს მემკვიდრეთ ისევ ვირი არჩია.

მაგრამ ვი რომ ვირი კაცურად ხმას ვერ იღებს და ვერ ლაპარაკობს. ჯაყრისგან მეფე ცრემლში დასეკურავს, მემკვიდრე ვირის ვირობას დაარობს. — მიესცემ ოქროს და მრავალ სიმდიდრეს, — უჩხადებს მეფე თურმე თავის ხალხს, — ვინაც ასწავლის ამ ჩემს მემკვიდრეს ცხრა წელში ენას და წერა-კითხვას.

ჩავარდა ხალხი საგონებელში დიდი, პატარა, ბატონიც მონაც. რომ ამ დროს უყვებ ყურანით ხელში მეფის წინაშე წარმოსდგა მოლა.

— დიდი მეფეო. მოძიკი ხება და ერთი სიტყვა მეც მახევენე. ვფიქვად ყურანს და მაჰმადის მცაებას მე მაგ ვირს ენას ავადმევივნებ, და ცხრა წლის შემდეგ შეიძლებს ვირი წერა-კითხვას და მჭევრმეტყველებას. ჩემი შევირდის თავზე გვირგვისი მე მის ოსტატსაც მესახელებია. მოლას ზეიმით მოჰკვირეს ვირი, შთილი საპალნე ოქროს აჩუქეს. მოლას ცოლი კი შიშისგან სტირის: — კაცო, რა ჰქენი? რად დაილუპე? აბიჯიბს მეფე მაგ სითაღლოთეს, ნაბოძებ ოქროს ჩამოგარბამევენ. აად გაგონილა ვირს ასწავლიდენ?! თრევს სარზე ჩამოგავემევენ.

— ცხრა წელიწადში. — მოუგო მოლამ — ალაჰვა უწყის რა მოხდებოა. ან ჩვენ მოკვდებით მანამ, ან ვირი, ან თითონ მივი ჩაძალადებოა.

ღონ-კიხიძე.

კრიტიკოსი ს. მანუელსკი იწვა ტახტზე, წვედა პაპაროზს და თავის ბედს ესაყვედურებოდა.

— რა მძიმე მდგომარეობა გვაქვს ჩვენ, კრიტიკოსებს,—ბოეტებს რა უშავთ, პროზაიკოსებს—მათ უმეტეს, დრამატურგებიც არ ცხოვრობენ ცუდად; ჩვენ, კრიტიკოსები კი ყველაზე ცუდად ვცხოვრობთ. ჩვენ არა თუ უნდა წავიკითხოთ ესათუის ნაწარმოები, არამედ მათ შესახებ უნდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი. ეშმაკმა იცის, შეიძლება შევცდეთ. ღმერთი ხომ არა ვარ, რომ არ შევცდებ? მე ისეთივე ვარ, როგორც სხვები.

იატაკზე იღო, მანუელსკის მიერ წაკითხული წიგნი. მისი სათაური იყო „ნიჩაბი“. ამ წიგნის ავტორი რომ ახალგაზრდა მწერალი ყოფილიყო მანუელსკიმ იცოდა. რა დავწერა, ახალგაზრდებზე იოლია წერა. როცა ახალგაზრდებზე სწერ, იცი როგორ უნდა დასწერო წერილი: „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ შემდეგი წიგნი იქნება უკეთესი, უღრმესი და შესაფერი ეპოქისათვის. ეს უმჯობესია... ამ ნაწარმოების ავტორი, რომ შეუმჩნეველი მწერალი ყოფილიყო, მაშინ ადვილი იქნებოდა მის შესახებ წერა, მაგრამ მან არ იცოდა, როგორ მოქცეოდა „ნიჩაბის“, ავტორს, რომელიც არც ახალგაზრდა იყო და არც შეუმჩნეველი მწერალი. რა ქნას მანუელსკიმ? მან აიღო ტელეფონი ხელში და დაუკავშირდა კრიტიკოსს აბსტრაქტურს:

— გამარჯობა აბსტრაქტურ! როგორ ცხოვრობ? კარგად? „ნიჩაბი“ წაიკითხე? ცუდია, არა? როგორია შენი აზრი?

— ჩემის აზრითაც ცუდია!—უპასუხა აბსტრაქტურმა, არ გიცი როგორ მოვიქცე! შენ რა გიშავს, მე კი უნდა დავწერო, შენ არაფერი გსმენია, რას ამბობს ხალხი ამ რომანის შესახებ?

— ხალხში სხვადასხვა აზრია. შენ კი ნუ ჩქარობ, ვაიფე რას ამბობენ ნუ ჩქარობ მანუელსკი, გესმის, ნუ ჩქარობ,—ჩრევა მისცა მას აბსტრაქტურმა.

მანუელსკიმ მძიმედ ამოიხრა და გამოემშვიდობა აბსტრაქტურს. რამდენიმე წუთის შემდეგ მან დაურეკა კრიტიკოსს გასწინს, ეს კრიტიკოსი შესანიშნავი იყო მით, რომ არასდროს და არაფერში არ ცდებოდა. ის ისე მონგრეზბულად სწერდა თავის კრიტიკულ სტატიებს, რომ არავინ არ იცოდა,—მათ შორის თვითონაც,—აქედან და იმ თუ აინებდა.

— გასწინ ხართ? — გელაპარაკებათ მანუელსკი, — როგორ ცხოვრობთ? „ნიჩაბი“ წაიკითხეთ?

— როგორ არა?—უპასუხა გასწინმა.

— თქვენი აზრი?

— მოოიანაო არა ოშაის. მაგრამ რაღაც მაინც აკლია.

— მაინც შენის აზრით რა უნდა აკლდეს?

— ჩემი. აზრით, აკლია ის, რაც კლასიკოსებს აქვთ. მაგრამ სამაგიეროდ წიგნშია ის, რაც კლასიკოსებს არ გააჩნიათ.

„კიდევ ვის დავფრეკო? ვის შევეკითხო?“—ფიქრობს მანუელსკი. აიღო ტელეფონის მილი და დაურეკა კრიტიკოს ტაბურეტ-

კოს. ეს კრიტიკოსი შესანიშნავი იყო მით, რომ მისი ცუდობა და ლაპარაკობა ამა თუ იმ ნაწარმოებზე ერთს და ერთს უფროსად ლობობით სწერდა იმავე ნაწარმოებზე მეორეს.

— გაუმარჯოს ტაბურეტკინს! როგორ ცხოვრობ ამხანაგო ტაბურეტკინ? „ნიჩაბი“ წაიკითხე?

ტაბურეტკინს „ნიჩაბი“ არ წაეკითხა, მაგრამ ამის გამოაშკაჩავედა არ უნდოდა და ასე უპასუხა მას:

— შენზე აღრე... მთლიანად არა უშავს, თუმცა აქა-იქ ეტყობა ფორმალიზმი.

— რაო, ფორმალიზმი? გაიკვირვა მანუელსკიმ,—მე კი ვფიქრობ უფრო ნატურალიზმი ეტყობა, ვიდრე ფორმალიზმი.

— უნდა ავღნიშნო ამხანაგო მანუელსკი,—უპასუხა ტაბურეტკინმა,—თუმცა ნატურალიზმი საკმაოადა. შეიძლება ითქვას, ნატურალიზმი მეტია, ვინემ ფორმალიზმი. ამაში შენ მართალი ხარ... მაგრამ მთლიანად წიგნი—დადებითი მოვლენაა.

— ჩვენ შორის დარჩეს და მე კი ვფიქრობდი,—რომ „ნიჩაბი“ თუმც დადებითი მოვლენაა, მაგრამ საკითხავად მაინც მოსაწყენია.

— ვინ ამბობს, რომ წიგნი სიამოვნებით იკითხება?—ამაღლოებული ხმით უპასუხა მას ტაბურეტკინმა,—არც მოსაწყენია, მაგრამ სიამოვნებითაც არ იკითხება. შენ მაინც საიდან მოიგონე, რომ თითქოს მე მეთქვას, რომ ეს წიგნი დადებითი მოვლენა იყოს?

— სწორედ შენ ეს ეხლა თქვი.

— მე უარს არ ვამბობ, შედარებით იმ წიგნებთან, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანებში გამოდიოდა, ის დადებითი მოვლენაა წარმოადგენს მეტი ამ გაგებით ვთქვი, შენ კი ეშმაკმა იცის, რა გინდა მომხწერო. არ ვარა ამხანაგო მანუელსკი. არ არის ეს ამხანაგური საქმე.

და ისევ მანუელსკი დარჩა თავის ფიქრებთან, მან იატაკიდან აიღო „ნიჩაბი“, ის იყო სქელი. აბა რა უნდა დაიწეროს ამ წიგნის შესახებ? შეიძლება მასში ფორმალიზმი იყოს, შეიძლება ნატურალიზმი ეშმაკმა იცის... „პრავდაში“ ამ წიგნის შესახებ ჯერ კიდევ არაფერი დაწერილა. „ლიტერატ. გაზეთშიაც“ არაფერი სწერია. მაშინ, რა უნდა დავწერო ამ წიგნზე? ელაპარაკებოდა ის თავის თავს.


— უნდა დავწერო „დაზღვევით“—დამშვიდებით თქვა მან და შეუღდა წერას.

— „დაზღვევა“ კრიტიკოსებისათვის ნიშნავს სწერა ისე, რომ მკვლევრი მძღორები დარჩნენ და ცხვრებსაც არაფერი ევნოს. უნდა წეროთ ისე რომ რაიმე შემთხვევის დროს არავის ცუდის თქმა არ შეეძლოს.

— აჰა! წამოიძახებს ვიღაც,—მანუელსკიმ „ნიჩაბში“ ვერ შეამჩნია ფორმალიზმი.


მითიმინეთ! — ეტყვის მანუელსკი, — წაიკითხეთ გულდასმით და თქვენ აღმოაჩენთ რომ ჩემს სტატიაში ფორმალიზმის შესახებ არის ლაპარაკი. (გაგრძელება მე-11 გვ.)

ნახ. ლონის



— გაიზადე, რას უცდი? — რას ამბობ, ცურვა არ გიცი... ხად მაქვს დასასრულობი თავი?

კრიკოსანი



„სახარება“

„ჩხუბთა“ ჩხუბი

დიდი კაცი.

ერთ ხუცესს დაეჭება „სახარება“ და მრევლის ხარჯით მოინდომა განახლება მისი და უხმო მრევლსა და ლაღადყო: სულიერო შვილებო ჩემო, თქვენც კარგად ხედავთ, რომ ჩვენი ეკლესიის სახარება (დიდება მის სახელს) დაიჭება, ძნელად საკითხავი გახდა. ძონძით შემოსილი კაცის ყურის ვღება უფრო სასიამოვნო არის, თუ მღიღორულად მოკმაზულის? (ხაღია გლახაკა და ჩაკონკილს არვის არაფერს გაუგონებს. ჩვენი სახარებაც (დიდება ძლიერებასა მისსა) ჩაკონკილია. ჩვენი ვაღია შევმოსოთ და ვითარცა სიძე შევაშკოთ იგი. ვიციდოთ შვილებო, ახალი სახარება, ძვირფასი ყლით შეშკული, გამართეთ ხელის მოწერა, შეაგროვეთ ფული და ღმერთი ერთ ათასად ვაღაგვიზღის მის პატრივისცემას.

გაიმართა ხელის მოწერა. სხვათაშორის, მღვდლის შვილმა ლუკამ ნაღდი ათი შაური გაიღო. ასე შეგროვდა საჭირო თანხა. ხუცესმა მოჭრილი სახარება შეიძინა და მრევლს გამოუცხადა, რომ კვირას ახალი სახარებით სწირავდა.

ხალხი ჩვეულებრივზე მეტი შეგროვდა. მღვდელი აღაღაღდა: — „სიბრძნითა აღემართენით და ისმინეთ წმინდა სახარებათა. დიაკვანმა დაუმატა: — დიდება შენდა უფალო, დიდება შენდა“.

მღვდელი: — ლუკასაგან წმინდისა სახარებით საკითხავი... ჩაიღიღინა ხუცესმა.

— რა თავს იგდებ, ხუცესო? მარტო შენს ლუკას ხომ არ უყვიდა ეს „სახარება“? ჩვენც რატომ არ გვიხსენიებ? — აღელდა ზოგიერთი.

— მოითმინე, შვილო და ნუ მიშლით ხელს, დღეს ლუკას საკითხავია.

— შენ და შენს ლუკას ორივეს გითარეთ. რას ჭეია მარტო ლუკა? ლუკამ თუ ათი შაური შესწირა, მე მანეთი შევსწირე, ყველა მოგვიხსენიე!

— მაშ, ყველასაგან წმინდისა სახარებისა საკითხავი — დაიწყო ხუცესმა „სახარების“ კითხვა.

— აბა რაგა გეგონა! ყველამ თუ ვიციდეთ, ყველა უნდა მოგვიხსენიო! — დაწყნარდა მრევლი.

პიტნა.

თავად-აზნაურთა ყრილობაზე მარშლის (წინამძღოლის) ასარჩევად ქუთაისის გუბერნიის ერთ-ერთ მაზრაში წარმომადგენელი უნდა აერჩიათ.

— ვახტანგი ავირჩიოთ! — დაიქინა ერთმა აზნაურმა.

— არ გამოვდგება: უსწავლელი კაცია, სიტყვა-პასუხი არ უჭრის, რუსულად დღეა რომ



ვინმემ შეაგინოს, — „მადლობით, თქვენ რაგა ბრძანდებითო“ — ეტყვის საპასუხოდ... თავი მოგვეჭრება... შენიშნა ვიღაცამ.

— რას ამბობ! ეგ რა მოსატანია. გვასახელებს თუ ავირჩიეთ წარმოსადგევი კაცია და საუკეთესო წარმომადგენელი იქნებაო — რაიქინა ამომრჩეველმა.

რეაქციის წლებში (1905 წლის აჯანყების ჩაქრობი. შემდეგ ტფილისში ერთ ინტელიგენტურ ოჯახში სადილის წინ სუფრას მოსხდომოდენ და საუბრობდენ.

ერთმა ოჯახის წევრთაგანმა „იფილოსოფოსა“:

— „ქალაქში უკანასკნელ კაცობას სოფელში პერველი კაცი სჯობსო“.

— თუ აგრეა, სტრატეგიკობისთანა არაფერი ყოფილა! — დასცინა შემთხვევით სოფლიდან ჩამოსულმა გლეხმა.

ხელი თხოვა და ფეხი უთავაზეს

ძველ დროში მშობლებისაგან ქალის მითხოვების ნებართვას ან დასტურს „ხელის თხოვას“ ეძახოდენ.

— „მშობლებს ნიკოს და მაკრინეს ტასოს ხელი ვთხოვეო“ — იტყოდნენ ხოლმე ასეთ შემთხვევაში დასტურის თხოვა („დასტ პირდაპირი მნიშვნელობით იგივე ხელია, მაგრამ შინაარსით ეს სიტყვა თანხმობას გამოხატავს ხშირად ქალის ხელს მხოლოდ მშობლებისაგან თხოულობდენ და ისე ლებულობდენ, რომ თვით ხელის პატრონს — ქალს არაფერს ეკითხებოდნენ. ზოგჯერ კი „ხელის“ მიღების ნაცვლად... სხვა რამეს ლებულობდენ. ათ ასეთი მარცხის ერთი ებიზოდი.

**

— რამ დაგაკოჭლა ბიჭო, ასკინკილის ხომ არ თამაშობ, ან ფეხის ძვალი ხომ არ ვაჭქს ჩამტყრეული? — ეკითხება ერთი ახალგაზრდა ჩოჩორეს.

— ეჭხ, შენ არ იცი ჩემი ამბავი... რა ამბავი? —

— ხელი ვთხოვე და ფეხი მითავაზა.

— არ მესმის.

— როგორ არ გესმის! ცოტენ როსაბიჩს ქალის ხელი ვთხოვე და ხელის ნაცვლად ისეთი პანტური მითავაზა, რომ ნაღძობივით მტეხავს საჯდომის ძვალი. სირცხვილს გაუძლო თუ ტკივილს აღარ ვიცი...

— აჰა! — წამოიძახებს მეორე, — მანულისკომ ვერ შეამჩნია სტატიაში ნატურალიზმი.

— მოითმინეთ! — ეტყვის მანულისკი, — საჭიროა წაიკითხოთ ჩემი სტატია გულდასმით და დარწმუნდებით, რომ მე ვეხები ნატურალიზმს. ასე, რომ მანულისკის სტატიაში ყველაფერი თავის რიგზეა, არ არის მხოლოდ ავტორის აზრი.

„ნაზღვევას“ კი ვერ შეედავებთან. იქ ყველაფერი ნაგულისხმევია. იქ ყველაფერია თვით კრიტიკოსის აზრის გარდა.

თუ ვინმე ამის შესახებ მას შენიშნავს, მანულისკის პასუხი მზად აქვს.

— ჩვენი მკითხველი იმდენად გაიზარდა, — იტყვის მანულისკი, — რომ მისთვის არ არის საჭირო სხვისი აზრი, და ვინც ასე ლაპარაკობს, ის შეუფასებლობას იჩენს მკითხველთა ზრდის შესახებ და სხვადასხვა... „დაზღვევა“ — ში კი სიიოლოგიური ნაგულისხმევია.

თარგ. ს. ე.

მიკათიშეხა

(ოკეაჩირა)


ოჩემირის გლსადგური ისე კარგად ანათებს, რომ სეზონი დაუღდა ტრაქს და ნავთის სანათებს, ცხოვრება გვიბარია, გვინდა: — ლხეია, თამაში, მოგვეწყინა მუღმივად ცურვა ქუჩის ტალახში.

კინო, კლუბი, თეატრი, ჩვენ ხალხს აქ არ „აწუხებს“ კულტურის ამ მოთხოვნებს სამიკიტნო ასრულებს. მოდი, ერთხელ გვესტუმრო, ამხანაგო ნიანგო, იქნებ შენი ჩანგალით დამნაშავეს მიაგნო.

ოჩემირელი.



— ჩქარა სამინისტროში
 — საგარეო საქმეთა სამინისტრო
 ში?
 — არა! ფინანსების!



გერმანია საფრანგეთს „უახლოვდება“



— არ მინდა მე თევზის ზეთი. მე
 ნავთი მინდა!

საქმის კაცი.



— თქვენი დეპუტატი რას აე-
 თებს?
 — არაფერს. ის უკვე არჩეულია
 დეპუტატად.



აგისინელი სანიტარი: — ნუ
 გეშინიათ. ბატონო, ჩვენ, ჩვენ მი-
 გიყვანთ საავადმყოფოში!
 იტალიელი ტყვე: — არა. თქვე-
 ნი კირიმე. სადაც გინდათ იქ წამი-
 ყვანეთ, ხოლო საავადმყოფოში კი
 არა.

სახელის დაავიწყდა



— ახლა ბევრს ლაპარაკობენ ნელ-
 ლეულის ხელახალი განაწილებას
 შესახებ?

— ბივშტექსიც ნელლეულია?

მზეს კობია არ იყოს



მზეს თითო რაღებზე ათასი მანეთი ხვდა კოლმეორეობიდან. ამიტომ ფული ერთად მას არასოდეს ონახავს. ჰო, კი ნახა ერთხელ, ძველად, მაგრამ ის ფულები ხაზირის რაო, გლეხებისაგან მათრახით აიღო. ჰოლო გადასახადებში. ახლა კი აღდგინი თოლი საკუთრად მიზოსია. აი, ეს მცირედი გამსხვავებაა ხსენებულ ფულებს შორის.

მიზო ურმით გაუღდა გზას ქალაქისაკენ.

ოხრივ კოლი წაიყვანა. ქალაქში შესვლისთანავე ნიანგს შეხვდა.

— შეძლებული ვახდა ცხოვრება, უმჯობესი და სამუხრი. გვინდა ქალაქში საოჯახო ნივთები ვიყიდოთ, შესამოსელიც, ქალიშვილის მზითვეი ვაფრწყო. ვნაკვალი გვაქვავლე ქალაქის რომელ ალაგას რა საქონელი იყიდება?—უთხრა მიზომ ნიანგს.

ნიანგმა გაიღიმა, ჩაიკინა ულუფო შიბში, მიუხედავად იმისა, რომ არა აქვს, და უთხრა:

- გავიგონია
- ალგათ ამოგილო
- ტვილისში ბრის
- უნივერსალი
- შიბ საქონელი
- ყოველნაირი
- კარავი ხარისხის,
- ახალი, სალი.

— შენ გენაცვალე მეგ შშვნიერ სახეში. წაგვიყვანე ბარებ!—აღტყა

ბოთ უთხრა ნიანგს მიზოს ცოლმა. ნიანგმა თხოვნა შეუსრულა და... ისინი უნივერსალში შეიყვანა.

ნახეს, მაგრამ რა ნახეს: ხალხი უამრავია! რა გინდა, რომ არ იყოს! რა ხანახავია.

ქსელა არსად გვირია, ქველადერი აქ არი. მის მუშაებს სიტყვა აქვთ ტკბილი როგორც შაქარი.

— აბა შევეუდგეთ ყიდვას!—უთხრა ნიანგმა მათ და გაუძღვა გახყოფალებებში.

მანუშაქტურა

ეს მიტკალი... ესეც ტილო, ნავერდი და ბამბაზია. აჩრეუმუმებს ნუ იკითხავთ რა ფერი და რა ნაზია.

აჩრეით რომელიც გასურთ უამრავი სახის შალი: შევიოტი, კოვერკოტი, ინდიკო და სხვა მრავალი.

ტრიკოტაჟი

თვალს იტაცებს, არ გიშორებს მონაქსოვი, მონაქარგი.

რეტა ვისმა ხელმა შექმნა ეს პროდუქტი ეგზომ კარგი?

მზატანსაცმელი

ტან-ფეხსაცმელის შეკერვას სჭირია დიდი ლოდინი.

თავს უნდა ადგე ყოველდღე, იქ მიიტანო ლოგინი.

რად გინდა აურზაური, ამდენი დავიდარაბა? რაც გასურს, აქ არის ყოველის ბალტო, კოსტუმი და კაბა.

ავეჯი

სასახლეები შენდება ხადც წინად იღვა ქოხები.

მშრომელთა ბინებს ამშვენებს ხალიჩები და ნოხები.

მზითვეს არ ვითხოვთ, რადგანაც ძველი ალათი-წესია, მაგრამ მზითისთვის ავეჯი სად არის უკეთესია!

ნიკელის, ტახტი ბადითა, სკამები, კაკლის მაგიდა, შიფონერკა და ბუფეტი, სხვა ღვამი კიდევ რა გინდა! **ბამშვთა კუთხე**

ბავშვი კი არ, ჩვენი მიზოც ვერ მოშორდა ბავშვთა კუთხეს ვერ გაძღები მისი ცქერით, რომც უუურო თუნდაც ხუთ დღეს.

რა გინდა, რომ იქ არ იყოს სათამაშო გახართობი. ერთმანეთზე უკეთესი ერთმანეთის მგლობზე მგლობი.



მუშგანყოფილება

მიზომ როცა დანახა გიტარა და პატეფონი, გაარღვია ხალხთა ტალღა და გასცურა როგორც ფონი.

შეიძინა მან გიტარა, ფირფიტებით პატეფონი და უკანვე გამოსცურა ხალხთა ტალღა როგორც ფონი.

მიზომ დატვირთა ურები. ხიანგს მადლობა გადაუხადა და სოფლისკენ გზას გაუღდა. მიზოს ცოლი გიტარას უკრავდა, მიზო—პატეფონს და დეტვირთულ ურებშიც დაძლიეროდა:

ჩემნი მნიშვნელოვანი
ო, რა მშვენიერია,
რაც გვირკია, რაც გინდა,
აშვს მას ყველაფერია.





ამხ. ნიანგო!

ზოგიერთ შემთხვევაში ტფილისელი მომხმარებელი იძულებული ხდება „იმკითხოს“ იმის შესახებ, თუ რა ხნა „იარლიკის“ საქონელი უნდა იყიდოს იმისთვის რომ მისთვის საჭირო საქონელი შეხვდეს. აქამდე ეს საკითხი მარტივად წყდებოდა. ვთქვათ მე მინდა თეთრი საღებავი. ვიყიდი შესაფერ საფაროში საღებავიან კოლოფს, რომელსაც ვარედან იარლიკზე აწერია „თეთრი საღებავი. მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება.

ამ დღეებში „გასტრონომის“ მაღაზიაში საბჭოთა ქუჩაზე შევხვდეთ თევზის კონსერვებს. შევხვდეთ და, დავაკვირდი მათ „იარლიკზე“ ლიტოგრაფიულ საღებავებში გაფორმებულ თევზის სურათებს, პირზე ნერწყვი მომივიდა. მივიარდი სალააროს, გადავიხადე სამი ოფლიანი მანეთი, გავხსენი შინ და თევზის ნაცვლად აღმოჩნდა ბადრიჯნის მარცვალი. (ისიც მხოლოდ მარცვალის!)

ახლა ისევ ვიტყვინის წინ ვღვაჯარ „გასტრონომის“ მაღაზიასთან, პლენანოვის გამზირზე. ვაკვირდები ბადრიჯანის კონსერვებს და ვფიქრობ: იქნებ ის თევზები, რომელშიც ჩემი უსამართლოდ დაჩაგრული სამი მანათი გადავიხადე, იმ ბადრიჯნის კოლოფშია მოთავსებული?

არ ვიცი როგორ მოვიქცე. ვიყიდი? თიხის ნაცვლად რომ ხორბლის ან მუხუდის მარცვალს აღმოჩნდეს?

მორჩიე, როგორ მოვიქცე ამხ. ნიანგო!
კ. დ—ძე.

ამხ. ნიანგო!

პლენანოვის გამზირზე (ტფილისში) № 144 სახლში მოთავსებულ პურის სავაჭრო წერტილში, რომლის გამგედ ითვლება ვინმე ნეფარიძე, ადგილი აქვს პურის გამყიდველების მიერ ჩურღობას. (წონაში დაკლებას). ერთერთ ასეთ ყალბანდობის და ჩურღობის შესახებ, როდესაც მომხმარებელს წონაში დააკლოს სულ „რაღაც“ 150 გრამი პური, შედეგნილ იქნა სტალინის რაიმილიციის მიერ ოქმი, მაგრამ მის შემდეგ თითქმის მთელი თვე გადის და ჯერ არავითარი შედეგი არა სჩანს. პურის წერტილის ჩურღი მუშაკები კი ალბათ თან არხიანად გრძნობენ, „ჟოლეშებში იციონიან“ და თავის „სამაყო“ საქმიანობას აგრძელებენ.

შენ მაინც შეეკითხე ამხ. ნიანგო სტალინის რაიონის მილიციას და პროკურატურას, სად

„დაამინეს“ ზემოთ დასახელებული პურის წერტილის მუშაკების მიმართ წაყენებული საჩივარი?

სან განიძე.

ამხ. ნიანგო!

შენ გენაცვალე მაგ შვენიერ კბილებსა და ლინიერ კუდში, რომელიც მე ამჟამად მჭირია. შენ მაინც ამხსენი, თუ რატომ არის, რომ რიონის სადგურში მგზავრებს ძალიან უჭირთ ბილეთის შეძენა, რადგან მოლარე მუდამ გაიძახის: ბილეთები არ არისო. ამავე დროს კი, თუ კაცი მზიდავს ხუთ მანეთს მისკემს, მაშინვე გააჩენს ბილეთს. აქ რაღაც ამბავია და საჭიროა შენი ჩარევა.

ილმელი.

ამხ. ნიანგო!

საქმე შემდეგშია: შალიკო რუსია განაგებდა ჩვენი სოფლის ფოსტას (ს. ფშაველი, თელავის რაიონი). კარგად განაგებდა თუ ცუდად განაგებდა, მაინც განაგებდა. მაგრამ შალიკომ შეირთო ცოლი და ფოსტა მას ჩააბარა. თითონ შალიკო კი მიეწყო საბჭოში მდივანად, მოლარედ და სტატისტიკოსად. მართალია, მისი ცოლი ვერ ერკვევა ფოსტის მუშაობაში, მაგრამ არა უშავს, სამაგიეროდ შალიკოს მეტი შემოსავალი აქვს.

უ. რ—ლი.

ამხ. ნიანგო!

ჩვენი სოფლის წვერებტანცარა ხუცესი დ. თოდუა ბავშვების მონათვის ატიტაციას ეწვევა (მისგან ეს არც ვასაკვირია). ახლან მოგვევლინა „წინასწარმეტყველი“ გოგია (გვარია), რომელიც ამბობს: მე საიქიში ვიყავიო, ქრისტე ვნახეო და მითხრაო:—თუ ხალხი ბავშვებს არ მონათლავს, როზგებით ვსცემო.

კარგი იქნებოდა, ამხ. ნიანგო, რომ შენ ამ ჩვენს წმინდანებს კუდს შემოჰკრავდე.

ბ.—ია.

ამხ. ნიანგო!

ჭიათურაში არის მარგანეცის შტვირთავთა სასადლო. უმეტესად პირველ კერძად არის მოხარშული წყალი და... და შიგ არაფერი. როცა უსაყვედურებ გაბგეს, თუ რატომ არ არის კერძში ხორციო, იგი სამხარელოში შეგიყვანს, ქვებს გიჩვენებს და გეტყვის:

— აი, ჩაიხედეთ ქვაში. ახლაც არ გჯერათ, რომ ხორცი ქვაშიაო არ არის?

ნიანგო, ჩვენგან არ უნდა გაიგონოს, და

შენგან მაინც ჰკითხე, ქვაში რატომ არ არის ხორცი.

ნიანგო!

ამხ. ნიანგო!

ქ. ხონშიაო არის სამკითხველო, მაგრამ რაღა ასეთი სამკითხველო. ავდარში შიგ წვიმა ისე ჩამოდის, როგორც გარეთ. არც დარშია შიგ ყოფნა უხიფათო. ყოველ წუთს მოსალოდნელია, რომ დამპალი იატაკი ჩაინგრეს და მარცხი მოხდეს. ყველა ამის შემდეგ არც ის უნდა გაუკვირდეს ვინმეს, რომ სამკითხველოში ჟურნალ-გაზეთების საქმე სრულიად მოოწესრიგებელია.

ნიანგო, მართალია, მე თვითონ სახრე ვარ, მაგრამ შენი კული უფრო ვაჭრის, ვიდრე ჩემი სახრე. ამიტომ ნუ დაიზარებ და კუდის რიკი მაინც აგემე აქაურ მესვეურებს.

სახრე.

ამხ. ნიანგო!

წინანდალის სრული საშუალო სკოლის გამგემ შიუკაშვილმა გასცა ბრძანება ყველა მოწაფის საყურადღებოდ:—ხვალ ვინც სარს არ მოიტანს სკოლაში არ დავინახოთ. ვინ გამოდგებოდა ისეთი, ბრიყვი, რომ მასწავლებლისათვის ხელი შეიშალა გამოგონების განხორციელების საქმეში. დატრიალდა ზოფული: დიდი, პატარა, მოხუცი, კოლმეურნე, მოსამსახურე, არა კოლმეურნე, ქვრივი, თბოლი, შეუდგნენ სარების გამოთლას.

— ავიხსენით სარები რას დაგეხმარება გამოგონებაში? ჰკითხეს მოწაფეებმა.

— ჯერ ყველამ მოიტანეთ და შემდეგ დაინახავთ!—უბასუხა მან. მეორე დღეს ზოგი ერთებმა მართლაც მოიტანეს სარები, ზოგი კი უსაროდ მოვიდა სკოლაში.

— თქვენ მიშლით ხელს, გამოგონებლობის მტერი ხართ—დაუყვირა უსარო მოსწავლეებს დირექტორმა და უკან გააბრუნა; სარები კი დაუშვა მეცადინეობაზე.

გამოიდარა თუ არა, შიუკაშვილი შეუდგა თავის გამოგონების განხორციელებას. ბაღში დინჯად ჩავიდა და თავის ვენახებს მოწაფეების სარები შეუყენა. სარის არ მიმტანი მოწაფეები კი სკოლას ვერ ეკარებდნენ.

მოგვიშველეთ, ამხ. ნიანგო!

ო. ვა—ძე.

მეისრეები

(სამხრეული)

— რასა ჰგავს ბიჭო მაგ შენი ისარი? რაფე მოუგრებია კისერი აფრიკის ყანჩასავით. მაგაზე რამ მატარებელი შედგეს, ხომ დეიმტვრა? ხომ იცი ბიძია ახლა კრივონოსური მუშაობაა გამოცხადებული. შენ არც კი იცი, ვინ არი სკრივონოსი?


- კრივონოსი არ ვიცი ბიჭო ვინ არის?
- აბა მითხარი ვინ არის.
- მაგი კოტაფინი იქნება.
- არაფერი არ გკოდნია. არც ისარი ვივარგა და არც ფანარი. ერთი მითხარი მაგი ფანარია თუ საცეცხური?

— აფხანიკო, დოუკვირდი და ისე ილაპარაკე. რაც რომ რკინისგზაზე დადგე, აგიღ



ხონის ბაზარში

რაიონის აბანოებში წყალი ხშირად წყდება (სიღნაღი და სხ.).



— ქალი სად მივაქვს ამდენი ღვინო?
— წყალია... აბანოში მივაქვს, „გასახპული ქმარი უნდა გავებანო.

იფიციატი, როგორც თანამდებობა მთლიანად...
— რა გაქვთ?
— ყველაფერს მოგართმევთ, აი, ინებეთ ბარათი!
ჩემმა მეგობარმა ბარათი გადაათვლია...
— წიწილი ტაბაკა.
— არა გვაქვს.
— ცოცხალი მოგვიტანეთ!
— ცოცხალიც არა გვაქვს...
— რატომ?..
— არ ვიჭერთ, ბატონო, აკრძალული გვაქვს.
— თქვენ არ იჭერთ, მაგრამ მეთევზეებმა იჭერენ...
— ბატონის მწვალი გახლავთ.
— მოიტანეთ!
— ეხლავე ბატონო!
რაიმდენიმე ხნის შემდეგ ოფიციატმა უთხრა მოგვიტანა და თან გაგვიცხადა:
— ბატონის მწვალი არ იჭება ბატონო...
— აბა, მაშ რა გვამოთ თევზის შემდეგ?
— ბასტურმას შევწვავთ.
ბასტურმა იყოს რაკი სხვა არაფერი აქვთ.
ცოცხლის შემდეგ ოფიციატი:
— ბასტურმა არ ყოფილა ბატონო.. სხვა რამეს მოგართმევთ...

ვა—ვა.

(„მეისრები“ დასასრ.)

გოგონი

მაშინ შემომარჩენეს ხელში. მერე კაცს არც ჩემს გამოცვლაზე და არც ამის გამოცვლაზე უფიქრია.

— პოლიტსკოლაში დეიარები?
— მერე რა გნებაეს? ეგზამენის ხომ არ მიკეთებ?
— რა არის აბისინია?
— აბისინიები. ჭიათურის რაიონში ცხოვრობენ, ჩემი დედის დისშვილს აბისინის ქალი ჰყავს. მარა მეიცა. რადგანაც მაგი ია-ზე თავდება, მეგრული იქნება. ერთერთი ნაცნობი მყავს გაბისინია; ალბათ აბისინია მისი ნათესავია.
— ჩაჭრილი ხარ, მაგი სახელმწიფოა, დავანებოთ მაგასაც თავი. მითხარი, როგორ იყო იმ დღეს ფოთის მატარებელი, რომ ბათუმისკენ გაუშვი?
— სამაგიეროდ მეორე დღეს ბათუმის „დაჩნი“ ფოთისკენ გავუშვი. ქვით შენი ზიარი ბატი.
— ვისზე ფიქრობდი, რომ დავთრები აგრეთ ვა თავში?
— ერთი თხაი მინდა ვიყიდო.

— სწორედ მაგ ფიქრს დაუღუპიხარ, ძამია. მატარებლების ბედილობა ხელში გიკავია და შენ თურმე თხაზე ფიქრობ, დაანებე ბიძია მაგ ფიქრს თავი, მაგი ისარი გასწმინდე და საქმეს მოუარე. ხომ ხედავ მე ათჯერ პაინც ვარ დაჯილდოვებული: პატრიფონი, კასტუმი, ჯერძის მოსახარში ქვაბები და რომელი ერთი ჩამოვთვალაო. ჩემი ძროხა 12 პოთლ რძეს იწველის. შენ კი ჯერ თხაც არ აკოლია. იმუშავე, ძამია, ჩემსავით და შენს ბედს მეტი არ უნდა!

ანელ-ოლლი.

ხიშტიანს (ასკანა, მახარადის რ.) თქვენ გვწერთ, რომ სამკითხველოს ფეხი გაიტაცაო:

ზედვე მოახტა, მოჭურცხლა, გარბოდა როგორც მერანი. იძახდა:—სახლში ცოლშვილსო უნდა სითბო და შიგელანი. ქარბუქსა ჰკვეთდა მხარდამხარ, გათელა თოვლი ვერანი. წაიღო, შერჩა ხახვივით, და ხმას ვერა სცემს ვერავინ.

რედაქციამში მიღებულია ვასაძის წერილი, რომელშიაც შემდეგს გვწერს:

„ვინაიდან ზამთარი უკვე გავიდა და ფეხი აღარ მესაჭიროება, შეუძლიანთ წაიღონ მხოლოდ იმ პირობით, რომ მომავალი ზამთრისთვის უკანვე დამიბრუნონ“.

აწ თქვენ იცით და ასკანის ხელისუფლებამ.

დ. ბელ—ქის (ქ. ჯუღლილი). ჩვენც ისეთივე პასუხი უნდა მოგცეთ, როგორც უკვე მიგიღიათ ადგილობრივი გაზეთის რედაქციიდან. ის ხომ თქვენი სიტყაობია, რომელიც ოთქქოს რედაქციამში გითხრეს:

ეს წერილი არ გამოვა, არის ჩვენგან „დღეისაშვილი“ ნიანგის შენიშვნა: ამიტომაც, მეგობარო, ტყვილად მოვლით მათზე გული.

ლოგარითის (ქ. ცხაკაია). თქვენ რომ ლოგარითისთვის ჯერჯერობით თავი დავენიშობით და მარტვილად, არითმეტიკოლოდ მარტვილად თქვენი ბაზრის ამბავი, უფრო სწორი და უფრო გასაგები იქნებოდა. დიას.

სრული ჭეშმარიტებაა ნიანგის მიერ ირთილ თქმული თავის ბრძანებამი:

სატირა და იუმორი პრესის არის ერთი დარგი. არა ყველა კალმოსანი ამ უანრისთვის არის ვარგი.

მ. ზ. მას (აბაშა). წერილების ბოლოში ნიანგს სთხოვთ, რომ:

გულით მინდოდა საპასხელიოდ მომეძლიანა თქვენთვის ამბავი ესე. რადგან საკმაო ცნობა არ მქონდა, ამიტომ კარგად მე ვერ გავლექსე, და ბუნდოვანად მოჩანს სურათი. სიმართლი მინდა თაითან ითქვას გთხოვთ რაც ნაკლი აქვთ. ის ამოაგდოთ, ადვილი მისცეთ დარჩენილ სიტყვას.

ჩიორუ ასე მოიქცეთ და ნაკლის ამოგდეთ ჩის შიშოო. ალარაფერო დარჩა თქვინი წერილიდან. თქვენი წერილის წაკითხვის შიმდოვ ნიანგმა თქვა:

აფსუს. აფსუს. რომ ამდენი ზედ ქალაქი დაიხარჯა, ნიანგკორსა მუდამ მართებს უკეთ წერა. მეტი გარჯა.

შეშვარაბულს (მარეღისი). ჩვენ სიამოვნებით დააბიძოვადით თოსტის გამგე ქალზე თქვენს ლიქსს. მაგრამ მისი მოთაისობით მისივე ხარისხის გამო თქვენ აკითვალწუნებდათ თქვენი შეცვარებული და შევიძულებდათ.



— როგორც ხანს აზრი შეგიცვლია; ამტკიცებდი, რომ მხატვრის თემა ფანტასტიური უნდა იყოს და ახლა ძეხვებს სატავ?
 — არაფერიც არ შემიცვლია. ამაზე ფანტასტიური ახლა ჩვენში არაფერია: სულ რომ მოიაროს მთელი გერმანია, წამლად ვერსად იშვავ-
 ნი...